24/12/2024

MES 3 24 0001650712

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10/12/2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:53 სთ
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **დავით ტეფნაძე** - შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
9. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით; ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

10. ვასილ კიკუტაძე - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. დიანა მჭედლიშვილი –შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნანა შონია - ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
თენგიზ კუპრაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
აზა იფშირაძე - "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ხათუნა შალამბერიძე - "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
თეიმურაზ კოჩაძე - "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო მაქაცარია - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
ლიანა თარგამაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი;
მაია მშვილდაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მამუკა მაისურაძე - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თამარ ცინცაძე - „ფარმაციის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ნანა გელოვანი - პროფესორი.

აკრედიტაციის ექსპერტები
II საკითხი
ა) ირინე ფხაკაძე
ბ) თინათინ გოგნაძე
III საკითხი
ა) დაივა იურევიჩიენე Daiva Jurevičienė
გ) დავით სიხარულიძე
დ) თამთა ცხოვრებაძე
ე) ანჟელა აბულაძე
IV საკითხი
ა) ნატალი ალექსანდრა გურვიც სუიტსი Natalie Aleksandra Gurvits Suits
ბ) ნინო ზარნაძე
გ) თინათინ ზერაგია
დ) ქეთევან თოდაძე
ე) ბექა მარუაშვილი
ვ) ქრისტინე ჩიხლაძე
ზ) სოსო გაზდელიანი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (240 კრედიტიანი) საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო, „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო, „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო, „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა ეხებოდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი №1434067, 07/11/2024 წერილის განხილვას, რომელიც ეხებოდა დაწესებულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სლავური ფილოლოგის“ მიმართ გაცემული რეკომენდაციების გადახედვის საკითხს. დაწესებულების "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილული იყო აკრედიტაციის საჭოს 2024 წლის 5 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2 წლის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე (საბჭოს სხდომის ოქმი - №1488717, 19/11/2024).

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 19 ნოემბრის სხდომის №1488717 ოქმში დაფიქსირებული (მე-4 საკითხი) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ საკითხის ხელახალი განხილვა (დაწესებულების №1434067, 07/11/2024 წერილში ასახული ინფორმაციის გათვალისწინებით);
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (240 კრედიტიანი) საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო, „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო, „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო, „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 19 ნოემბრის სხდომის №1488717 ოქმში დაფიქსირებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ საკითხის ხელახალი განხილვა. (დაწესებულების №1434067, 07/11/2024 წერილში ასახული ინფორმაციის გათვალისწინებით)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების №1434067, 07/11/2024 წერილში ასახულ და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ქიმერიძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედმა „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა კლასტერული აკრედიტაცია (გადაწყვეტილება 545111, 16/05/2023) 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით. ხოლო ანაგარიშის წარმოდგენის შესწავლის მომენტში, ექსპერტის მიერ, გაკეთდა როგორც კლასტერული, ისე ინდივიდუალური შეფასებები რეკომენდაციების შესრულების შეფასება. მისი თქმით, ექსპერტს კეთილსინდისიერად ჩამოწერილი ჰქონდა ყველა ის სასწავლო კურსი, რომელსაც გაცემული რეკომენდაცია მოიცავდა, თუმცა დაზუსტებული არ იყო თუ რომელი პროგრამის მიმართ გაიცა ეს რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის არსებობამ განაპირობა ისეთი რამდენიმე სასწავლო კურსთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაწერა, რომელიც არ იძებნება „სლავური ფილოლოგის“ სამაგისტრო პროგრამაში. საკითხი განიხილა აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 5 ნოემბრის ზეპირ მოსმენაზე.

უსდ-ს წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ განაცხადა, რომ ერთ 5 ნოემბრის საბჭოზე განხილული იქნა კლასტერში შემავალი "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო და „სლავური ფილოლოგის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანგარიში. მისი თქმით, დაწესებულების ანგარიშში, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო პროგრამას, საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ეს რეკომენდაცია ტექსტის ვერბალურ ნაწილში მიემართებოდა საბაკალავრო კურსებს, კერძოდ, პრაქტიკული ენებისა და თარგმანის კურსებს. აკრედიტაციის საბჭოზე ჯერ განხილული იქნა საბაკალავრო პროგრამის ანგარიშის შედეგები, რომლებთან დაკავშირებითაც ექსპერტმა წარმოადგინა დასკვნა, რომ ამ კურსებთან მიმართებით ლიტერატურის განახლების საკითხი აღარ განიხილებოდა იმიტომ, რომ დაწესებულებამ ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია შეასრულა. უნივერსიტეტმა ჩათვალა, რომ ეს საკითხი აკრედიტაციის საბჭოსთვის დამაკმაყოფილებელი იქნებოდა და დაწესებულება სამაგისტრო პროგრამის განხილვისას შემოიფარგლა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ეს რეკომენდაცია მიემართებოდა საბაკალავრო სასწავლო კურსებს.

ექსპერტს, რომელიც განიხილავდა სამაგისტრო პროგრამის ანგარიშის შესრულების საკითხს, სააკრედიტაციო პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მის მიერ „Copy Paste”-ით გადატანილი კურსების ჩამონათვალი სამაგისტრო პროგრამაში გარკვეულ კითხვებს წარმოშობდა. საბჭოზე ექსპერტმა მსჯელობა წაიყვანა იმ კუთხით, რომ იქიდან გამომდინარე, რომ "რუსული ფილოლოგიის" მოდულში თარგმანისა და პრაქტიკული კურსი არ იძებნებოდა, მან პოლონური და უკრაინული თარგმანის სილაბუსების განახლების საკითხი ერთმანეთს შეადარა, მაშინ, როდესაც რეკომენდაცია ამ მიმართულებით არ გაცემულა. დარეჯან გარდავაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ წერილში დეტალურად არის მოცემული ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია და თითოეულ საბჭოს წევრს შეუძლია გაეცნოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:14
დასრულების დრო: 14:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 19 ნოემბრის სხდომის 488717 ოქმში დაფიქსირებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ საკითხის ხელახალი განხილვის საკითხი გადადებულ იყოს საბჭოს შემდეგი სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 19 ნოემბრის სხდომის 488717 ოქმში დაფიქსირებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ საკითხის ხელახალი განხილვის საკითხი გადადებულ იყოს საბჭოს შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა საკითხის ირგვლივ გარემოებებზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბჭოს სჭირდება საკითხის ირგვლივ დეტალებში გარკვევა, რომლის შესწავლისთვისაც, მათ ესაჭიროებათ დამატებითი დრო. ამიტომ, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის გადადება.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტი, ირინე ფხაკაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესშ, პირველი და მეოთხე სტანდარტი

შეფასდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 3.2 კომპონენტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მაგისტრატურის დებულებაში არსებობს ჩანაწერი, კერძოდ, „სამაგისტრო ნაშრომი მოცულობის შესაბამისად შეიძლება შესრულდეს ერთი ან ორი სემესტრი განმავლობაში“. ამის შესაბამისად, რეკომენდებული იყო „სამაგისტრო ნაშრომის“ შესაბამისობაში მოყვანა ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამასთან. „სამაგისტრო ნაშრომის“ მოცულობა უცვლელია და შეადგენს 30 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურის თანახმად ის სრულად ხორციელდება მე-4 სემესტრში. შესაბამისად, გაურკვეველია 30 კრედიტის მქონე კურსის სხვადასხვა სემესტრებში გაყოფისა და განხორციელების, ასევე შეფასების და კურსის შედეგის გაზომვის პირობები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულების აზრით, სტუ-ს მაგისტრატურის დებულებაში ხისტად არ არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა - 30 კრედიტი. რიგ სამაგისტრო პროგრამებში, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა აღემატება 30 კრედიტს და შესაბამისად ერთ სემესტრში მისი შესრულება შეუძლებელია. „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომი კი წარმოდგენილია 30 კრედიტით. ეს წარმოადგენს სტუ-ს მაგისტრატურის დებულების კერძო შემთხვევას და წინააღმდეგობაში არ მოდის სტუ-ს მაგისტრატურის დებულებასთან.
ირინე ფხაკაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ნათელს არ ფენს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პირობებს არც იმ შემთხვევაში, როდესაც ნაშრომის მოცულობა აღემატება 30 კრედიტს და არც ფარმაციის პროგრამის შემთხვევაში, როდესაც 30 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომი განაწილებულია 2 სემესტრზე. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელად დარჩა დასკვნის დოკუმენტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტი როგორც საბჭოს, ისე ექსპერტების მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მოცემულ შემთხვევაში მაგისტრატურის დებულება, რომელიც მოქმედებს დაწესებულებაში, ჯამში 60-ზე მეტ სამაგისტრო პროგრამას ემსახურება და სამაგისტრო პროგრამებში არეგულირებს კვლევითი კომპონენტის შეფასებებს, მიზანს და ა.შ. საკითხებს. ამ პროგრამის კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია პროგრამასა და სასწავლო გეგმაში. შესაბამისად, სემესტრების დაყოფით პირდაპირ არის მითითება იმის შესახებ, რომ მე-4 სემესტრში არის გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტის მოცულობით. მას დაშვების წინაპირობად აქვს ყველა სასწავლო კომპონენტი განსაზღვრული, კერძოდ, ის, რაც წინა სემესტრის განმავლობაში უნდა ისწავლოს და დაძლიოს სტუდენტმა. მესამე სემესტრში კვლევითი კომპონენტის განხორციელება შეუძლებელია იმიტომ, რომ სტუდენტს სრულად არ აქვს ათვისებული სასწავლო კომპონენტი. ასევე არსებობს იმის შესაძლებლობაც, რომ სტუდენტმა ვერ მოასწროს და სემესტრი დაიმატოს როგორც სასწავლო კომპონენტის, ისე კვლევითი კომპონენტის ნაწილში. ამრიგად, კვლევითი კომპონენტი ამ პროგრამაში ისეა წარმოდგენილი, როგორც ყველა სხვა სტუ-ს სამაგისტრო პროგრამაში, რადგან ფიზიკურად დაწესებულების შესაძლებლობებს აღემატებოდა რაიმე ტიპის ცვლილების შეტანა რეგულაციების დონეზე. დავით მახვილაძემ აკრედიტაციის საბჭოს თხოვნით მიმართა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია მოხსნილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რატომ არ იყო დაწესებულების პოზიცია მისაღები აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა თინათინ გოგნაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაცია გაიცა იმ მიზნით, რომ „სამაგისტრო ნაშრომი“ თავსებადობაში მოსულიყო დაწესებულებაში უკვე არსებულ მარეგულირებელ დოკუმენტაციასა და პროგრამის ჩანაწერთან. ამ უკანასკნელში მოცემულია, რომ „სამაგისტრო ნაშრომი“ 30 კრედიტის ფარგლებში მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში ხორციელდება, ხოლო დებულებაში წერია, რომ ორი სემესტრი განმავლობაშიც შესაძლებელია განხორციელდეს.

გოჩა თუთბერიძის თქმით, დებულებაში მოცემულ იყო, რომ „სამაგისტრო ნაშრომი“ ორი სემესტრის განმავლობაში შეიძლება განხორციელებულიყო მოცულობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ ჩანაწერის მიხედვით ეს ყველა პროგრამას არ მოიცავდა.

თინათინ გოგნაძემ აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი „სამაგისტრო ნაშრომის“ სწავლებას იწყებდნენ მეორე სემესტრიდან. შესაბამისად, ყოველივე ამან გამოიწვია ამ რეკომენდაციის გაცემა.

ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებასთან ძირითადი შეკითხვები იყო შემდეგი: ექვემდებარებოდა თუ არა ეს 30 კრედიტი გაყოფას და ასეთი მდგომარეობა კრედიტების რამდენად იყო კრედიტის დაგროვების წესთან და მინისტრის ბრძანებასთან ჰარმონიზებული. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს აქვს თავისი ხედვა, თუმცა სტუდენტმა უნდა იცოდეს ამ 30 კრედიტის ათვისების წესი. მაგალითად, თუ სტუდენტი მე-3 სემესტრში იწყებს გარკვეული სამუშოს დაწყებას სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, მაშინ მან უნდა იცოდეს როგორ ხდება სემესტრის ბოლოს განსაზღვრული სამუშაოების აღიარება 30 კრედიტით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ აქ კრედიტების გაყოფაზე საუბარი არ იყო. სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი კომპონენტი ბოლოს ფასდება. აქ საუბარია იმაზე, რომ თუ სტუდენტმა მეოთხე სემესტრში არ დაასრულა კვლევითი ნაშრომი, მას შეუძლია სემესტრი დაიმატოს. მისი თქმით, გაუგებარია რატომ გაჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა მაშინ, როდესაც ამ მიმართულებით სხვა ექსპერტების მხრიდან არასოდეს ყოფილა შენიშვნა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, „ფარმაციის“ მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება იყოს შესრულებული როგორც რეგულაციების, ისე ექსპერიმენტული კუთხით. მას აინტერესებდა, გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფი სამაგისტრო ნაშრომებს. ასევე თუ ექსპერიმენტული კუთხით სრულდება ნაშრომები, რამდენად რელევანტურია წარმოდგენილი კრედიტების რაოდენობა.

დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ აქ საუბარია ფორმალურ პროცესზე, კერძოდ, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი დაიწერება და მოხდება მისი დაცვა. სწორედ დაცვისთვის არის გამოყოფილი 30 კრედიტი. მოცემულ შემთხვევაში არანაირ შეუთავსებლობას არ აქვს ადგილი.

სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ დებულებაში ჩანაწერი არ იყო პრობლემური და სპეციფიკიდან გამომდინარე სწორი ფორმულირება იყო შერჩეული.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, გოჩა თუთბერიძის მოსაზრება გაიზიარა და კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, როგორ წარმოედგინათ ექსპერტებს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, კერძოდ, მაშინ, როდესაც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა, მიზნები და შედეგები ისე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ კანონმდებლობასთან არ მოვიდეს წინააღმდეგობაში. მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ იმისთვის, რომ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდეს, ის უნდა დასრულდეს. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში. დაწესებულება დროში დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს იმავე სემესტრში აფასებს, თუმცა არის გამონაკლისის შემთხვევაც, როდესაც შეფასების ნაწილი გადადის მომდევნო სემესტრისათვის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება არა ეტაპობრივად, არამედ მთლიანად. მიმდინარე განხორციელებული კვლევების შეფასება კი ხდება რამდენიმე გზით, კერძოდ, შუა სემესტრული გამოკითხვებითა და ფოკუსირებული ინტერვიუებით. ამრიგად, დაწესებულება ამ მიმართულებით კანონმდებლობასთან შესაბამისია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:14

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შესახებ დაწყებული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.5 კომპონენტი
დაზუსტდეს სტუ-ს მაგისტრატურის დებულებაში არსებული შემდეგი ჩანაწერი: „სამაგისტრო ნაშრომი, მოცულობის შესაბამისად, შეიძლება შესრულდეს ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში“ და მოვიდეს შესაბამისობაში ფარმაციის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამასთან, რომლის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უცვლელია, შეადგენს 30კრედიტს და პროგრამის სტრუქტურის თანახმად ის სრულად ხორციელდება მე-4 სემესტრში. შესაბამისად, გაურკვეველია 30 კრედიტის მქონე კურსის სხვადასხვა სემესტრებში გაყოფისა დაგანხორციელების, ასევე შეფასების და კურსის შედეგის გაზომვის პირობები.

მესამე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, დაივა იურევიჩიენე (Daiva Jurevičienė), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას „მცირე ბიზნესის მართვის“ პროგრამის მიმართულებით განხორციელების გამოცდილება აქვს და არ არის დამწყები, თუმცა არსებობს გარკვეული გამოწვევები, რომელთა გამოსწორებაზეც უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს. ამრიგად, პროგრამის მიმართ გაცემულ შენიშვნებზე ინფორმაცია დასკვნაში დეტალურად არის მოცემული და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ქეთევან ლატარია, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტებმა ერთი რეკომენდაცია რჩევაში გადაიტანეს, ხოლო ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც სასწავლო კურსის გაყოფას ეხებოდა, ამოიღეს. ასევე მატერიალური რესურსების სტანდარტის შეფასება შეცვალეს შეფასებით „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დარჩენილი რეკომენდაციები მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის. რეკომენდაციების ერთი ნაწილი უნივერსიტეტმა უკვე შეასრულა, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტი არის საფაკულტეტო დონეზე წარმოდგენილი, კერძოდ, სოციალური და ჯანდაცვის ფაკულტეტების სახით. რჩევის სახით აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა, ეს არაფერს არ ეწინააღმდეგებოდა, თუმცა კარგი იქნებოდა თუ პროგრამულ დონეზეც უნივერსიტეტი შეიმუშავებდა ბიუჯეტს.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ლატარიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ერთი ფაკულტეტია. შესაბამისად, არსებობს ერთი საფაკულტეტო ბიუჯეტი, თუმცა შიდა მართვისთვის ყველა პროგრამას გააჩნია საკუთარი ინდივიდუალური ბიუჯეტი სამომავლო გეგმების განსახორციელებლად.
საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტია გათვალისწინებული, რომელიც მოიცავს შუალედურ გამოცდას დახურულ 25 ქულიანი ტესტის სახით. მას აინტერესებდა, რა საკითხებს მოიცავდა ეს ტესტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტის შუალედური გამოცდის შესაფასებლად გამოიყენება ტესტი, რომლის შედგენის დროს მხედველობაში მიიღება ის განვლილი სასწავლო კურსები, რომლებსაც სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე

კიდევ ერთხელ გადიან. ავტორიზაციის პერიოდში მოხდა შუალედური გამოცდის დაზუსტება და დაწესებულებამ გააკეთა მოდიფიცირება როგორც მოცემულ, ისე სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. შესაბამისად, ადგილზე მოხდება ოთხი პრაქტიკული დავალების მიცემა სტუდენტებისთვის და თითოეული შეფასდება 5-5 ქულით.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „აკადემიური პროდუქტიულობის შეფასების სისტემაში“ მოცემულია სამი კომპონენტი. პირველი ეხება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მეორე ეხება პროფესიული განვითარების შეფასებას, ხოლო მესამე ეხება აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას. ბოლო ორ კომპონენტს აქვს თავისი გაზომვის დოკუმენტები წარმოდგენილი, ხოლო პირველს არა, თუმცა სხვადასხვა დოკუმენტებში ირიბად იკითხება გაზომვის საშუალებები. მისი თქმით, მან ვერ მოიძია „დანართი N1”, სადაც კონკრეტული შეფასების წყაროები იქნებოდა მითითებული. მას აინტერესებდა, რატომ არ იძებნებოდა წარმოდგენილ დოკუმენტებში „დანართი N1”.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ლატარიამ განაცხადა, რომ პერსონალის შეფასების მექანიზმები და შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად არის აღწერილი ხარისხის აღმწერ დოკუმენტში, რომელიც წარმოდგენილია. დაწესებულებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშით, სადაც ხვედრითი წილი მეტი აქვს რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. ამ ანგარიშის მიხედვით თითოეული აქტივობაში დამოუკიდებელი ქულა იწერება. ასევე აკადემიური პერსონალი ფასდება „მეტრიკებითა“ და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი ფასდება პროფესიული განვითარებითაც, რომელიც შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იყოს დადასტურებული. აკადემიური პერსონალის სემესტრულ შეფასებაში იგულისხმება დეკანის, სტუდენტის, სასწავლო პროცესის ადმინისტრატორისა და საგამოცდო ცენტრის შეფასება. სტუდენტთა მიერ ხვედრითი წილი ხუთ ქულიან შეფასებაში ნახევარი მოდის სტუდენტებზე, ხოლო დანარჩენი უკვე აღნიშნულ სუბიექტებზე.

დიმიტრი ჯაფარიძემ პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს ტესტი, რომელიც არის ინგლისური ენის B2 ცოდნის დონის დამადასტურებელი. ასევე არსებობს მეორე გზა პროგრამაზე მიღების, კერძოდ, თუ აპლიკანტი წარმოადგენს ინგლისური ენის B2 ცოდნის დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს. გარდა ამისა, არსებობს მესამე გზაც პროგრამაზე მიღების, კერძოდ, თუ სტუდენტი წარმოადგენს დაწესებულების ენის შემსწავლელი ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატს, სადაც ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა დადასტურებული იქნება. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტის ენის შემსწავლელი ცენტრი იყო თუ არა ლიცენზირებული.

ქეთევან ლატარიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაშიი ფუნქციონირებს უცხო ენათა ცენტრი, რომელიც თანამშრომლობს ასკურავას უცხო ენათა შემსწავლელ ცენტრთან. შესაბამისად, დაწესებულების უცხო ენათა ცენტრს აქვს უფლება, რომ განახორციელოს ტესტირება და გასცეს ლიცენზირებული სერტიფიკატი.

დიმიტრი ჯაფარიძემ პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „მმართველობით აღრიცხვას“ არ ჰქონდა წინაპირობა მითითებული. მისი თქმით, პროგრამაში არსებობდა „საფინანსო აღრიცხვა“, რომელიც შეიძლება ყოფილიყო „მმართველობითი აღრიცხვის“ წინაპირობა. პროგრამაში მოცემულია „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ სასწავლო კურსი. ცალკე კურსად არის გამოყოფილი „რეკლამა მცირე ბიზნესში“. მან აღნიშნა, რომ შესაძლებელი არის რეკლამის ინტეგრირებით „ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში“ ამოღებული იყოს ერთი სასწავლო კურსი და დაემატოს „მეწარმეობის“ სასწავლო კურსი. ასევე კარგი იქნება თუ პროგრამას დაემატება „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი. მან დაწესებულებას მიმართა, რომ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება დაეფიქსირებინა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია გონაშვილმა განაცხადა, რომ „მმართველობით აღრიცხვასთან“ დაკავშირებით დიმიტრი ჯაფარიძის მოსაზრებას იზიარებდა. მისი თქმით, „მცირე ბიზნესის მართვის“ პროგრამა პირველ აკრედიტაციას არ გადის. შესაბამისად, ამ პროგრამის მიმართ სხვადასხვა ექსპერტს განსხვავებული მოსაზრება აქვს. უფრო კარგი იქნება თუ „რეკლამა მცირე ბიზნესში“ და „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ ცალკე კურსად ისწავლება ამ პროგრამაში. მისი თქმით, „სტრატეგიული დაგეგმვა“ მცირე ბიზნესის მენეჯმენტში ისწავლება ერთ თავად და შესაძლებელია ის სტრატეგია, რაც მცირე ბიზნესს სჭირდება, განხილული იყოს ამ თვალსაზრისით. პროგრამის თანახელმძღვანელმა, ნინო მაქაცარიამ აღნიშნა, რომ „მეწარმეობის“ სასწავლო კურსი ისწავლება „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე. დაწესებულების მიზანია, რომ „მეწარმეობის“ სასწავლო კურსი აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტს ასწავლოს ისე, როგორც სამაგისტრო დონეს შეეფერება. იქიდან გამომდინარე, რომ ეს სასწავლო კურსი უკვე ისწავლება „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამაზე ეს კურსი ესწავლებინა სხვა კურსის სახით.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმების გაუმჯობესებას. კურიკულუმის რუკაში შეტანილია არჩევითი საგნები და როგორც წესი, ეს საგნები პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაზე გავლენას არ ახდენს. მას აინტერესებდა, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისას გაამახვილა თუ არა დაწესებულებამ ამ საკითხზე ყურადღება. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები ვითარდება გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების მიმართულებით. მისი თქმით, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ასეთი დალაგება მიმართულებების პირიქითაა ან საერთოდ არეულია. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ქეთევან ქუთათელაძის თქმით, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები დიდი რაოდენობით არის მოცემული. მან დაწესებულებას რჩევა მისა, რომ კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი კონცენტრირებას გააკეთებდა რამდენიმე ძირითად სწავლის შედეგზე, რომელიც იქნებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქეთევან ლატარიამ განაცხადა, რომ ხარისხის აღმწერ მექანიზმებში სწავლის შედეგებს უნივერსიტეტი ძირითადი სასწავლო კურსების მიხედვით აკვირდება. ეს არის პირდაპირი მეთოდი სწავლის შედეგების შეფასების, რომელიც წარმოდგენილი ამ დოკუმენტში. გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების მიმართულებით არის რამდენიმე ტექნიკური შეცდომა, რომელსაც უნივერსიტეტი აუცილებლად გამოასწორებს.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით. მისი თქმით, პროგრამის პირველივე გვერდზე მითითებულია, რომ სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, თუმცა სასწავლო გეგმის თანახმად, პირველი სემესტრი არის 28 კრედიტი, მეორე სემესტრი 30 კრედიტი, მესამე სემესტრი 32 კრედიტი, ხოლო მეოთხე სემესტრი 30 კრედიტი. პირველი წელი გამოდის 58 კრედიტი, ხოლო მეორე წელი 62 კრედიტი. მისი თქმით, კანონმდებლობა უშვებს, რომ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სტუდენტის დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი. მას აინტერესებდა, დაწესებულება ჰქონდა თუ არა საკუთარი წესი კრედიტების გადანაწილების. ასევე შეუშლიდა თუ არა მობილობის საკითხს ის, რომ 60 კრედიტის ნაცვლად 58 კრედიტით დატოვებდა სტუდენტი უნივერსიტეტს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაია გონაშვილმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა შემუშავებული არ არის მექანიკურად, კერძოდ, ისე, რომ ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტიანი ან 6 კრედიტიანი იყოს. კრედიტების სემესტრული გადანაწილება არის ისეთი, როგორიც წარმოდგენილია. მისი თქმით, კრედიტების აღიარების წესიდან გამომდინარე საგანი, რომელიც შეიძლება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 4 კრედიტიანი იყოს, ხოლო სხვა

დაწესებულებაში 5 კრედიტიანი, ეს არ უშლის სტუდენტის მობილობის საკითხს. სხდომის თავმჯდომარე, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, 1.5 ქვესტანდარტში მოცემულია რეკომენდაციები, ხოლო მის ნარატიულ ნაწილში ამ რეკომენდაციების შესახებ არაფერი წერია. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. 2.1 ქვესტანდარტის ნარატიულ ნაწილში მოცემულია ორი რეკომენდაცია, თუმცა შემდეგ რეკომენდაციებისა და რჩევების ცალკე გრაფაში არ არის გადმოტანილი ეს ორი რეკომენდაცია. გარდა ამისა, აღნიშნული ქვესტანდარტის შეფასდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი.
საერთაშორისო ექსპერტმა, დაივა იურევიჩიენემ (Daiva Jurevičienė) აღნიშნა, რომ არ ახსოვდა ზუსტად ამ კომპონენტებთან დაკავშირებული დეტალები, თუმცა ზოგადად შეხედულებები ამ საკითხებთან მიმართებით გაჩნდა ვიზიტის დროს. მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომებში იყო სერიოზული განსხვავებები, რომლებთან დაკავშირებითაც შენიშვნა დაწესებულებამ მიიღო.
ქართულენოვან დასკვნაში ტექნიკურ ხარვეზები გასწორებულია, თუმცა შესაძლებელია ქვესტანდარტის ნარატივში დარჩენილიყო. რაც შეეხება ინგლისურენოვან დასკვნას, მასში ტექნიკური ხარვეზები არ არის და აღნიშნული რეკომენდაციები რჩევის სახით არის მოცემული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:01
დასრულების დრო: 16:10

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის **„მცირე ბიზნესის მართვის“** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, **სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.3

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ ჩამოყალიბება;

კომპონენტი 1.4
რეკომენდებულია, პროგრამის ძირითადი სასწავლო გეგმის კომპონენტში „საწარმოს ფინანსების“ სასწავლო კურსის შეტანა.

რეკომენდებულია, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ და „მცირე ბიზნესი“ გახდეს მცირე ბიზნესის მარკეტინგის კურსის წინაპირობა. ეს უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მარკეტინგთან დაკავშირებული შინაარსის უფრო სტრუქტურირებულ და ლოგიკურ განვითარებას.

კომპონენტი 1.5
რეკომენდებულია, კურსი "ბიზნესის კვლევის მეთოდები"-ის არსებითი გადამუშავება, რადგან იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ SPSS-ს;

რეკომენდებულია, სასწავლო მასალების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის ყველაზე თანამედროვე და შესაბამისი ცოდნის მიწოდება.

კომპონენტი 2.4
რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მიერ უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მხრიდან ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითება და სამაგისტრო ნაშრომებში აკადემიური სტილის წესების დაცვა.

კომპონენტი 3.2
რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს - თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას) ნაწილებს;

რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი მექანიზმები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელება და განვითარება;

კომპონენტი 4.3
რეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა პრიორიტეტი მიანიჭონ და გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის, სამეცნიერო მონაცემები CA ან Scopus-ის იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

რჩევები:
კომპონენტი 2.1
სასურველია, სპეციალიზაციის გამოცდის ნიმუშის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

კომპონენტი 2.2
სასურველია, გაძლიერდეს პრაქტიკულ კომპონენტებში დამსაქმებელთა ჩართულობა;

სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საპროექტო აქტივობებში მეტი სტუდენტის ჩართულობა;

კომპონენტი 2.3
სასურველია კურსის "საწარმოო პრაქტიკის" სწავლებისა და შეფასების მეთოდების შემდგომი განხილვა და დაკვირვება.

კომპონენტი 2.4
სასურველია, ლექტორებმა უფრო ხშირად მიაწოდონ სტუდენტებს უკუკავშირი სწავლის შედეგების თაობაზე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

კომპონენტი 3.1
სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში.

სასურველია სტუდენტებისთვის ჩატარდეს სხვადასხვა სახის სემინარები და ვოქშოფები დამსაქმებელთა ჩართულობით.

კომპონენტი 4.2
სასურველია, განისაზღვროს თუ რა რაოდენობის მაგისტრანტი შეიძლება ჰყავდეს ერთ ხელმძღვანელს.

კომპონენტი 4.4
სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების რეგულარულად განახლება ახალი გამოცემებით, რაც პროგრამას უზრუნველყოფს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით.

კომპონენტი 5.1
სასურველია, პროგრამის და აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობის წახალისება;

მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (240 კრედიტიანი) საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო, „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო, „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო, „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა დავით გეგეჭკორმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის კასტერის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (180 კრედიტი) - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი".
პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 კრედიტი) - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი".
პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - "ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი".
პროგრამა 4. "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - "საჯარო მმართველობის მაგისტრი".
პროგრამა 5. "ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი) - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - "განათლების მენეჯმენტის მაგისტრი".
პროგრამა 6. "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - "ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სატრანსპორტო ლოგისტიკაში".
პროგრამა 7. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - "ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი".

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, ნატალი ალექსანდრა გურვიტს - სუიტსი (Natalie Aleksandra Gurvits-Suits), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სააკრედიტაციო წარმოების პროცესი იყო როგორც საინტერესო, ისე გამოწვევებით სავსე იმიტომ, რომ ექსპერტთა ჯგუფი განიხილავდა შვიდ პროგრამას, რომლიდანაც ერთი ნაწილი პროგრამებისა იყო ახალი, ხოლო მეორე ნაწილი პროგრამების უკვე არსებობდა. მისი თქმით, დაწესებულებაში იყო პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო. ექსპერტები შეხვდნენ ყველა დაინტერესებულ მხარეებს. პროგრამების მიმართ რაიმე დიდი გამოწვევა ან პრობლემა არ ყოფილა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ ის რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც გაიცა პროგრამების მიმართ, დაწესებულება გაითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, თეა კორძაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, პროგრამების მიმართ გაცემული რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია და დაწესებულება მაქსიმალურად იზიარებს ყველა რეკომენდაციას.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ნანა შონიამ, განაცხადა, რომ დაწესებულება დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა თითოეულ რეკომენდაციასა და რჩევას. მისი თქმით, უნივერსიტეტმა პროგრამები შეადარა „ბიზნესის ადმინისტრირების“ დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც 2023 წლის 25 ოქტომბერს დამტკიცდა და ამის მიხედვით ჩამოაყალიბა ყველა პროგრამის მიზნები და შედეგები. აღნიშნული პროგრამების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც აკადემიურმა პერსონალმა და კურსდამთავრებულებმა, ისე დამსაქმებლებმა. მისი თქმით, პროგრამების მიმართ გაცემული რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანია და დაწესებულება მაქსიმალურად იზიარებს ყველა რეკომენდაციას, თუმცა უნივერსიტეტს აქვს საკუთარი შეხედულება საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებზე. ექსპერტებს ძალიან კარგი დახასიათება აქვთ დაწერილი სამივე საფეხურის პროგრამების სტრუქტურაზე, რაც მისასალმებელია. მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამები სტუდენტს აძლევს ზოგად ცოდნას დარგის შესახებ. შესაბამისად, დაწესებულება ეცადა, რომ საბაკალავრო პროგრამებში მიზნები ზოგადი ხასიათის ჩამოეყალიბებინა. ამ მიზნებში, რა თქმა უნდა, ნაგულისხმევია ბიზნესის ყველა სფერო. არცერთი შედეგი არ არის მხოლოდ ერთი საგნის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა შალამბერიძემ განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი და შედეგები შემუშავებულია „ბიზნესის ადმინისტრირების“ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობით და იძლევა სრულ საფუძველს იმის შესახებ, რომ განსაზღვროს პროგრამაში მითითებული მიზანი, კერძოდ, სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა ბიზნესის ძირითადი სფეროების შესახებ, ჩამოუყალიბოს ბიზნესის სფეროში საქმიანობისათვის საჭირო ეფექტური პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გამოუმუშაოს ბიზნეს-გარემოში მიმდინარე მოვლენების კრიტიკული შეფასების, დაგეგმვის და მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების უნარი. შესაბამისად, ყველა შედეგი და მიზანი შესაბამისობაში მოდის სასწავლო კურსებთან. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმება და მათი შემდგომი წარმატებული კარიერის შექმნა. მან აღნიშნა, რომ IX და X შედეგები ეხებოდა პასუხისმგებლობა ავტონომიურობის კომპეტენციას, რომლებთან მიმართებითაც გაიცა რეკომენდაციები. IX შედეგის მიხედვით, სადაც აღნიშნულია რომ: „აფასებს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმების/პრინციპების მნიშვნელობას“, დაწესებულებას მიაჩნია, რომ მოცემული შედეგი არ არის პროგრამის ფარგლებში არსებული მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის საფუძველზე განსაზღვრული შედეგი, არამედ ჩამოყალიბებულია შემდეგი სასწავლო კურსების საფუძველზე: „ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“, „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, „მეწარმეობის საფუძვლები“, ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, „მომსახურების მარკეტინგი“, „გაყიდვების მენეჯმენტი“, „ზოგადი აუდიტი“, „პროფესიული პრაქტიკა“ და ა.შ. X შედეგის მიხედვით, სადაც აღნიშნულია რომ: „გეგმავს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელებას“, შესაბამისობაშია ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან, რადგან ის ადგენს საკუთარი სწავლის პროცესისა და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმას, იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნულ უნარებს უყალიბებს ყველა ის სასწავლო კურსი, სადაც რეფერატის, პროექტის და ბიზნეს გეგმის შედგენა არის სილაბუსით გათვალისწინებული და ასევე პროფესიული პრაქტიკის ანგარიში. აღნიშნული უნარები გაწერილი სხვადასხვა სასწავლო კურსებში, კერძოდ, „ფული და ფინანსური ურთიერთობების“, „საერთაშორისო ბიზნესის“, „პროექტის მენეჯმენტის“, “ბიზნეს დაგეგმვისა და ადმინისტრირების“ კურსებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის მიმართ. მას აინტერესებდა, პირველ რეკომენდაციაში რა უნიკალური აქცენტების გაკეთებაზე იყო საუბარი.
საერთაშორისო ექსპერტმა, ნატალი ალექსანდრა გურვიტს - სუიტსმა (Natalie Aleksandra Gurvits-Suits), განაცხადა, რომ სასურველია მეტად იყოს გამოკვეთილი პროგრამისათვის უნიკალური მახასიათებლები, რადგან დაინტერესებულ პირს ჰქონდეს იმის დანახვის შესაძლებლობა, რომ პროგრამა სხვა მსგავსი პროგრამებისაგან განსხვავდება. ეს არის მნიშვნელოვანი, რადგან პროგრამას სძენს უნიკალურობას. შესაბამისად, ამიტომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს კლასტერულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რამდენად სავალდებულო იყო საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით სამეცნიერო სტატიების განხილვა. ერთ-ერთი კლასტერული რეკომენდაცია ეხებოდა მემორანდუმების განახლებას. მას აინტერესებდა, რა ტიპის მემორანდუმები იგულისხმებოდა. მეხუთე კლასტერული რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების საერთაშორისო მობილობის გაძლიერებას სემესტრულ გაცვლით პროგრამებში და მოკლევადიან საერთაშორისო პროექტებში. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო ეს რეკომენდაცია სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა". მას აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული რეკომენდაცია საბაკალავრო პროგრამებს.
ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ განაცხადა, რომ ლიტერატურას სჭირდება მეტ-ნაკლებად განახლება ახალი სამეცნიერო მიღწევების, კერძოდ, სტატიების სახით, რომელიც ეხებოდა სამივე პროგრამას.
ექსპერტმა, ნინო ზარნაძემ აღნიშნა, რომ ბევრი შემთხვევა იყო პროგრამებზე მოძველებული ლიტერატურის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ სწორი იქნებოდა თუ დაწესებულება დაამატებდა სამივე პროგრამაზე ისეთ ლიტერატურას, რომელიც თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენებს ასახავდა.
ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ მემორანდუმების განახლებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ზოგადი, ისე პრაქტიკული ტიპის მემორანდუმები. როდესაც მოხდა ამ მემორანდუმების გაფორმების თარიღების შემოწმება დადგინდა, რომ ზოგიერთი მემორანდუმი ვადაგასული იყო, თუმცა როგორც შემდეგ დაწესებულებამ განმარტა ეს მემორანდუმები ავტომატურად ნახლდებოდა. შესაბამისად, ამ რეკომენდაციაში ეს საკითხი მოიაზრებოდა.
ექსპერტმა სოსო გაზდელიანმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია, რომელიც სამეცნიერო - კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობას და მობილობის გაძლიერებას სემესტრულ გაცვლით პროგრამებში და მოკლევადიან საერთაშორისო პროექტებში ეხებოდა, მიემართებოდა სამივე საფეხურის პროგრამას. მისი თქმით, მეორე და მესამე საფეხურის სტუდენტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში საპრეზენტაციო უნარების განსავითარებლად, რათა მომავალში ნაშრომის მომზადება და დაცვა არ გაუჭირდეთ. რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, რეკომენდაციებში იგულისხმებოდა მათი საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას "ბიზნესის ადმინისტრირების" 180 და 240 კრედიტიან პროგრამებთან დაკავშირებით. მისი თქმით, თვითშეფასებისა და სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ 180 კრედიტიანი პროგრამა შედგება 145 კრედიტი ძირითადი სწავლის სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსში შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები არის 10 კრედიტი, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები 25 კრედიტი. ასევე კრედიტების მსგავს გადანაწილებას ვხვდებით 240 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში. მან აღნიშნა, რომ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, სადაც ზუსტად არის გაწერილი პირველი უმაღლესი

საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის სტრუქტურის დალაგების წესი, პროგრამა უნდა შედგებოდეს როგორც ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებისაგან, ისე თავისუფალი კომპონენტებისაგან. რა თქმა უნდა, ძირითადი სფეროს კომპონენტი უნდა აერთიანებდეს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებს. ასევე თავისუფალი კომპონენტი უნდა შედგებოდეს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებისაგან. მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამა არ შეიცვას თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, თენგიზ კუპრაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა არ შეიცავდა თავისუფალი კომპონენტის არჩევით კურსებს იმიტომ, რომ დაწესებულებას კანონმდებლობით ამისი ვალდებულება არ ჰქონდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე საკმარისია კვალიფიკაციის მისანიჭებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების არსებობა პროგრამაში.

თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტს კურსების არჩევის დიდი შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა პროგრამებიდან. შესაბამისად, 60 კრედიტი ამ პროგრამებიდან არჩეული კურსებით იფარება. იქიდან გამომდინარე, რომ 180 კრედიტიანი პროგრამა ახალია, ჯერ-ჯერობით მას 240 კრედიტიანის სტრუქტურა გააჩნია, თუმცა მომავალში შესაძლებელია მასში განხორციელდეს ცვლილება.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „ბიზნესის ადმინისტირების“ საბაკალავრო პროგრმაში დიდია ფინანსური დარგის სასწავლო კურსები. მაგალითად, „ბუღალტრული აღრიცხვა“, „ფული და ფინანსური ურთიერთობები“, „ფინანსური აღრიცხვა“, „მმართველობითი აღრიცხვა“, „საგადასახადო ფინანსები“ „კორპორაციის ფინანსები“, „ინვესტიციის საფუძვლები“ და „საბანკო საქმე“. მას აინტერესებდა, როგორი იყო დაწესებულების შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა შონიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა „ფინანსები და კრედიტის“ პროგრამა, რომელიც 2012 წელს შეიცვალა „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამით. მისი თქმით, კურსდამთავრებულების უმეტესობა დასაქმებულია ფინანსური მიმართულებით. შესაბამისად, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რეკომენდაციით პროგრამაში გაჩნდა ფინანსური დარგის სასწავლო კურსები, რადგან როგორც ისინი აღნიშნავენ, ამ მიმართულებით წარმატებული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია ფინანსური დარგის სასწავლო კურსები.

დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ „საბუღალტრო აღრიცხვა“ და „ფინანსური აღრიცხვა“ როგორც წესი საბაკალავრო პროგრამებში ერთ სასწავლო კურსად ისწავლება „ფინანსური აღრიცხვის“ სახელწოდებით. მესამე სემესტრში ისწავლება „ფული და ფინანსური ურთიერთობები“, რომლებიც შესაძლებელია გადატანილი იყოს მოგვიანებით ეტაპზე მაშინ, როდესაც სტუდენტს საბაზისო ცოდნა „საფინანსო და მმართველობით აღრიცხვაში“ დაგროვილი ექნება. „საგადასახადო საქმეში“ წინაპირობად მითითებულია „ფინანსური აღრიცხვა“. შესაბამისად, პირველი ციკლის საბაზო სწავლის დასრულების შემდეგ, რომელიც უკვე გულისხმობს მენეჯერული აღრიცხვის დასრულებას, ეს შეიძლება იყოს წინაპირობად მითითებული. ასევე „სტრატეგიული მენეჯმენტის“ არარსებობა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამისთვის არის დანაკლისი. მისი თქმით, „ინოვაციური მენეჯმენტი“ ბიზნესის ადმინისტრირების 240 კრედიტიან პროგრამაში მოცემულია როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებში. ის იმედოვნებდა, რომ ეს ტექნიკური შეცდომა იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა შონიამ, დაუდასტურა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზი იყო. სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში „ფული და ფინანსური ურთიერთობები 6 კრედიტით, „ფინანსური აღრიცხვა“ 5 კრედიტით და „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ 5 კრედიტის მოცულობით არის მოცემული, რომელთა სილაბუსებშიც მითითებული ლიტერატურიდან გამომდინარე კრედიტების ასეთი განსაზღვრა სასწავლო

კურსებისთვის არარელევანტურია. მას აინტერესებდა, რა აზრის იყო დაწესებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა შონიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ შენიშვნას აუცილებლად გაითვალისწინებდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:03
დასრულების დრო: 17:45

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების (240 კრედიტიანი) საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების (180 კრედიტიანი) საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„სატრანსპორტო ლოგისტიკის” სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამას, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.3
სასურველია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

კომპონენტი 1.4
რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურა (თავისუფალი კომპონენტებთან მიმართებაში) შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

კომპონენტი 1.5
რეკომენდებულია, გადაიხედოს შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს რესურსების რელევანტურობა, თანამედროვეობა და აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობა.

რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსების ლიტერატურის ნაწილში მითითებული ბმულები იმისათვის, რომ მითითებული იყოს არსებული რესურსები.

კომპონენტი 2.1
რეკომენდებულია, პროგრამის მიმდინარე შედეგებთან შესაბამისობის გაძლიერების მიზნით განახლდეს არსებული მემორანდუმები.

კომპონენტი 4.3
რეკომენდებულია პერსონალის CV-ების გაუმჯობესება, რომ მოიცვას სრული ინფორმაცია გამომცემლებისა და პუბლიკაციების ბმულების შესახებ.

კომპონენტი 5.1
რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს სწავლება/სამუშაო შეხვედრები აკადემიური პროგრამების გუნდთან, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტიანი ჩართულობა პროგრამების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს უფლებების, პასუხისმგებლობებისა და დავალებების დელეგირებას პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების დროს.

რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი პროგრამების რუქები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმები. გარდა ამისა, პროგრამებისათვის უნდა დადგინდეს ინდივიდუალური სამიზნე ნიშნულები, და უნდა ჩატარდეს სასწავლო სესიები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამების განმახორციელებელ გუნდთან.

კომპონენტი 5.2
რეკომენდებულია, რომ გარე ექსპერტიზის მეშვეობით მიღებული რეკომენდაციები სრულად იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდეს მნიშვნელოვანი და განვითარებაზე მიმართული რეკომენდაციები.

პროგრამის რეკომენდაციები

კომპონენტი 1.1
პროგრამა 1, პროგრამა 2
რეკომენდებულია, ხელახლა განისაზღვროს სასწავლო პროგრამის მიზანი იმისათვის, რომ აისახოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უნიკალური ორიენტაცია.

პროგრამა 7
რეკომენდებულია, შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამის ერთი კონკრეტული მიზნის ფორმულირება იმისათვის, რომ ხაზი გაესვას დარგში სამეცნიერო ჩართულობის მაღალ დონეს და მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას.

კომპონენტი 1.2
პროგრამა 1, 2
რეკომენდებულია, სწავლის შედეგები არ იყოს ჩამოყალიბებული მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო კურსის საფუძველზე.

რეკომენდებულია, სწავლის შედეგების გადახედვა იმისათვის, რომ უკეთ შეესაბამებოდეს პროგრამის აკადემიურ მიზნებს.

პროგრამა 5
რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაციის მკაფიოდ წარმოჩენის მიზნით შემცირდეს სწავლის შედეგების რაოდენობა 8 - დან 10 - მდე.

კომპონენტი 1.5
პროგრამა 6
რეკომენდებულია, სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები ბიზნესში" შეიცვალოს კურსით "კვლევის მეთოდები ლოგისტიკაში" ან კურსში გათვალისწინებული იყოს დარგობრივი ლიტერატურის და ლოგისტიკის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული თემები.

კომპონენტი 3.2
პროგრამები 3, 4, 5, 6
რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ისეთი კომპონენტების სრულყოფას, როგორიცაა: სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია.

კლასტერის რჩევები:

კომპონენტი 1.5
რეკომენდებულია, გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა, რომელიც უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ კანონებს და კანონმდებლობას, არამედ შესაბამის სამეცნიერო სტატიებს.

კომპონენტი 3.1
რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტების საერთაშორისო მობილობა სემესტრულ გაცვლით პროგრამებში და მოკლევადიან საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდის გზით.
სასურველია, გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა საბაკალავრო პროგრამებში.

კომპონენტი 4.1
გადაიხედოს პერსონალის ფაქტობრივი დატვირთვა და მოყვანილი იქნეს შინაგანაწესთან შესაბამისობაში.

კომპონენტი 4.3
პროგრამა 1,2,3,5,6
მიზანშეწონილია გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო დონეზე მაღალრეიტინგულ, "გლობალურ სამეცნიერო საძიებო სისტემებში ინდექსირებულ ჟურნალებში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 17:53 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა